

შპს წაღვერი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები	5
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. მარაგები	10
7. გაცემული ავანსები	10
8. ძირითადი საშუალებები	10
9. სესხები	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	12
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფული და ფულის ექვივალენტები	5	250,674	989,160	286,422
მარაგები	6	161,469	99,052	-
გაცემული ავანსები	7	84,458	279,992	400
სხვა მიმდინარე აქტივები		38,944	20,319	51,145
სულ მოკლევადიანი აქტივები		535,545	1,388,523	337,967
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	3,313,241	3,168,664	2,357,974
არამატერიალური აქტივები		57,058	68,081	65,365
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,370,299	3,236,745	2,423,339
სულ აქტივები		3,905,844	4,625,268	2,761,306
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		34,650	27,997	165,673
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		34,650	27,997	165,673
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	2,917,755	3,344,943	3,509,370
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,917,755	3,344,943	3,509,370
სულ ვალდებულებები		2,952,405	3,372,940	3,675,043
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		4,376,576	4,376,576	1,110,075
აკუმულირებული ზარალი		(3,423,137)	(3,124,248)	(2,023,812)
სულ საკუთარი კაპიტალი		953,439	1,252,328	(913,737)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,905,844	4,625,268	2,761,306

დირექტორი



გიორგი ძნელაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	814,748	23,688
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(284,569)	(21,000)
საერთო მოგება		530,179	2,688
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(405,164)	(567,020)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(441,547)	(165,959)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(364,275)	(121,807)
სხვა შემოსავლები		1,476	7,360
სხვა ხარჯები		(1,412)	(2,283)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(680,743)	(847,021)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება საკურსო სხვაობიდან		381,861	(253,190)
ზარალი დაბეგვრამდე		(298,882)	(1,100,211)
მოგების გადასახადი		(7)	(225)
წმინდა ზარალი		(298,889)	(1,100,436)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	1,110,075	(2,023,812)	(913,737)
კაპიტალის გაზრდა	3,266,501	-	3,266,501
წმინდა ზარალი	-	(1,100,436)	(1,100,436)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	4,376,576	(3,124,248)	1,252,328
წმინდა ზარალი	-	(298,889)	(298,889)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	4,376,576	(3,423,137)	953,439

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს წალვერი დაფუძნდა 1995 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: ბორჯომის რაიონში/დაბა წალვერი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 226109243. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

გოჩა ჩხაიძე, 65002012107 - 50%

სერგეი კაციევ, 75 4733774 (რუსეთის ფედერაცია) - 50%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მინერალური წყლის სპეციალიზური წესების დაცვით ჩამოსხმა და რეალიზაცია. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გიორგი ძნელაძე (პ/ნ 01008023847).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო

პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწვევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც

გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	2-3
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა

განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამონაკლისებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები	31-12-22	31-12-21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133,415	101,170
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	117,259	887,990
სულ	250,674	989,160

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

მარაგები	31-12-22	31-12-21
მასალა და ნედლეული	145,078	93,788
მზა პროდუქცია	16,391	5,264
წმინდა მოთხოვნები	161,469	99,052

7. გაცემული ავანსები

ცხრილებში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გაცემული ავანსების ჩამლა:

გაცემული ავანსები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი	28,604	232,332
არარეზიდენტი	55,854	47,660
სულ	84,458	279,992

8. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	143,502	15,500	159,002
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	1,195,679	3,580	1,199,259
შენობა-ნაგებობები	1,286,577	76,725	1,363,302
მანქანა-დანადგარები	1,067,489	317,717	1,385,206
ავეჯი და სხვა ინვენტარი	40,550	84,307	124,857
სატრანსპორტო საშუალება	42,652	-	42,652
სულ	3,776,449	497,829	4,274,278

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	312,661	126,207	438,868
შენობა-ნაგებობები	246,549	54,347	300,896
მანქანა-დანადგარები	45,624	160,830	206,454
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,614	6,952	9,566
სატრანსპორტო საშუალება	337	4,916	5,253
სულ	607,785	353,252	961,037

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	143,502	-	143,502
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	1,154,669	41,010	1,195,679
შენობა-ნაგებობები	1,214,737	71,840	1,286,577
მანქანა-დანადგარები	332,556	734,933	1,067,489
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3,941	36,609	40,550
სატრანსპორტო საშუალება	-	42,652	42,652
სულ	2,849,405	927,044	3,776,449

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	254,460	58,201	312,661
შენობა-ნაგებობები	224,370	22,179	246,549
მანქანა-დანადგარები	12,601	33,023	45,624
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	2,614	2,614
სატრანსპორტო საშუალება	-	337	337
სულ	491,431	116,354	607,785

9. სესხები

სასესხო ვალდებულება შედგება დამფუძნებლისგან მიღებული სესხისგან. სესხი გაცემულია 5 წლის ვადით.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითად კლიენტებს არარეზიდენტები წარმოადგენს, რომელთანაც ექსპორტი 2022 წელს დაიწყო:

რეალიზაცია	2022	2021
არარეზიდენტი	813,795	-
რეზიდენტი	953	23,688
სულ	814,748	23,688

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულება	2022	2021
არარეზიდენტი	284,236	-
რეზიდენტი	333	21,000
სულ	284,569	21,000

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
ტრანსპორტირების ხარჯი	81,298	21,883
თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯები	65,309	11,842
რემონტის ხარჯები	57,385	160,482
კომუნალური ხარჯები	57,303	33,388
აუთსორსინგული მომსახურებები	56,842	89,264
ბიუჯეტში გადასახდელი ხარჯები	27,607	51,829
იჯარის ხარჯი	19,143	9,179
მარკეტინგის ხარჯები	13,865	11,332
წარმოების ხარჯები	9,299	51,925
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,046	1,991
სერტიფიკატის, ლიცენზიის და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯები	1,263	55,498
საოფისე ხარჯები	760	2,959
სხვა საოპერაციო ხარჯები	12,044	65,448
სულ	405,164	567,020

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
მენეჯმენტის ხელფასი	134,933	42,656
სახელფასო ხარჯი	306,614	123,303
სულ	441,547	165,959

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 134,933 ლარი, ხოლო 2021 წელს 42,656 ლარი.

კომპანიას დამფუძნებლისგან მიღებული აქვს სესხი, რომლის ნაშთმაც 2022 წლის ბოლოს შეადგინა 2,917,755 ლარი ხოლო 2021 წლის ბოლოს 3,344,943 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.